



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
15 მარტი 2018

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2018-2028 წლების გეგმაში გაწერილი პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 683.9 მლნ ევროს. აღნიშნული ათწლიანი გეგმა დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს. წინამორბედი გეგმისგან ახალი გეგმა ძირითადად განსხვავდება მოხმარების ზრდის ტემპისა და გენერაციის ობიექტების და გადამცემი ხაზების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღებთან დაკავშირებული დაშვებებით. ათწლიანი გეგმის მიხედვით, მთლიანი საინვესტიციო მოცულობის 49% მოდის 2018-2020 წლებზე. ამასთან, ახალი გეგმით განსაზღვრული საინვესტიციო მოცულობა (683.9 მლნ ევრო) ნაკლებია წინა გეგმის საინვესტიციო მოცულობაზე, რომელიც 735.4 მლნ ევროს შეადგენდა. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია 2017 წელს დასრულებული პროექტების გეგმიდან ამოღებით. ეს პროექტებია: მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები ბათუმი1, ბათუმი2, დერჩი, სათაფლია2, აჯამეთი3 და სხვა; აგრეთვე ქვესადგურები ჯანდარა, შინდისი, და სხვა. ასევე შეიცვალა სისტემათაშორის ელექტროგადამცემი ხაზების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღებიც: 400კვ-იანი მარნეულისა (სომხეთი) და 154კვ-იანი ბათუმი-მურატლის (თურქეთი) მშენებლობის დასრულება 2018 წლის ნაცვლად 2020 წელს იგეგმება; თურქეთთან დამაკავშირებელი 400კვ-იანი ახალციხე-ტორტუმის ხაზის დასრულებამ 2020 წლიდან 2021 წლამდე გადაიწა, ხოლო რუსეთთან დამაკავშირებელი 500 კვ-იანი სტეფანწმინდის ხაზი 2021 წლის ნაცვლად 2023 წელს შევა ექსპლუატაციაში.

ელექტროენერჯის ბაზრის მონაცემები


• იანვარში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი საქართველოში*	5.0 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
• იანვარში ელექტროენერჯის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.9 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
• იანვარში ექსპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასი**	0.0 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
• იანვარში იმპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასი	5.1 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
• იანვარში გარანტირებული სიმძლავრის საფასური	0.7 აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე
• შიდა მოხმარების ცვლილება 1თ18, კვტ.სთ	7.6%
• ელექტროენერჯის ექსპორტის ცვლილება 1თ18, კვტ.სთ**	N/A
• თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერჯის ცვლილება 1თ18, კვტ.სთ**	N/A

*საშუალო გაცვლითი კურსი იანვარში GEL/US\$ = 2.5473; TRY/US\$ = 3.7723

**იანვარში ექსპორტი არ განხორციელებულა


გაიზარდა მოხმარების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები 2018-2028 წლებისთვის. გადამცემი ქსელის განვითარების ახალი ათწლიანი გეგმის მიხედვით, მოხმარების ზრდის პესიმისტური (1.0%), ზომიერი (3.5%) და ოპტიმისტური (5.0%) საპროგნოზო მაჩვენებლები შეიცვალა შესაბამისად 3.0%, 5.0% და 7.0%-ით. გენერაციის სცენარები განსხვავდებიან განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შესვლის ალბათობით. საბაზისო სცენარი (L3G3) ითვალისწინებს მოხმარების 7.0%-იან ზრდას 27.9ტვტ.სთ-მდე 2029 წლისთვის და მშენებლობის, ლიცენზირების და კვლევის ეტაპზე მყოფი ყველა ჰიდროელექტროსადგურის დროულ დასრულებას. საბაზისო სცენარის მიხედვით, 2029 წელს ელექტროენერჯის ჯამური ადგილობრივი გენერაცია იქნება 32.3ტვტ.სთ., ხოლო წმინდა ექსპორტი - 4.4ტვტ.სთ.

გრაფიკი 1: მოხმარებისა და გენერაციის განვითარების სცენარები 2018-2028 წლებში, ტვტ.სთ.



წყარო: სსე, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა (TYNDP) 2018-2028
შენიშვნა: G1 სცენარი ითვალისწინებს მშენებლობის ეტაპზე არსებული ყველა ჰესის და ლიცენზირების ეტაპზე არსებული პროექტების 50%-ის დასრულებას. G2 სცენარით G1 სცენარით გათვალისწინებულ გენერაციას ემატება ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ეტაპზე მყოფი პროექტების 25%. საბაზისო სცენარია L3G3, სადაც მოხმარების 7%-იანი ზრდა და გეგმიტ გათვალისწინებული ყველა ელექტროსადგურის დროული მშენებლობაა გათვალისწინებული.

გრაფიკი 2: ინვესტიციების მოცულობა 2018-2028 წლებში, მლნ. ევრო



წყარო: სსე, საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა (TYNDP) 2018-2028

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

ანალიტიკოსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.7897



LEAP მოდელის მიხედვით ელექტროენერჯის მოხმარების საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2015-2030 წლებისთვის შეადგენს 3.9%-ს. ენერგოეფექტურობის ცენტრმა საქართველოში USAID-ის მმართველობა განვითარებისთვის (G4G) საგრანტო პროგრამა „ელექტროენერჯის მოთხოვნის საპროგნოზო მოდელი“-ს ფარგლებში შეიმუშავა გრძელვადიანი ენერჯის ალტერნატივების დაგეგმვის მოდელი (LEAP), რომელიც შესაძლებელს ხდის ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარებისა და პიკური დატვირთვის პროგნოზირებას. მოდელირებისას გამოიყენეს მიდგომა „ქვევიდან ზევით“, რაც გულისხმობს საბოლოო მომხმარებლების მიერ ენერჯის მოხმარების ანალიზს. კვლევაში განხილული საბოლოო მომხმარებლები არიან: მოსახლეობა, კომერციული და საჯარო სექტორი, ინდუსტრია, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, კრიპტოვალუტების მოპოვება, აფხაზეთის მოხმარება და დანაკარგები ქსელში. მთლიანობაში, განხილულ იქნა ხუთი სხვადასხვა სცენარი: საბაზისო სცენარი ითვალისწინებს მოხმარების ისტორიულ ტრენდს, ფუნქციურ კავშირებს საბოლოო მოხმარებასა და ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს შორის და დაშვებას, რომ მოხმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელდება. საბაზისო სცენარის მიხედვით 2030 წელს ელექტროენერჯის მოხმარება 18.9 ტვტ.სთ. იქნება. ენერგოეფექტური სცენარის მიხედვით 2030 წლის პროგნოზირებული მოხმარება 16.6 ტვტ.სთ.-ს შეადგენს, ხოლო მომხმარებლების მიერ მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების ფლობის შემთხვევაში - 18.8 ტვტ.სთ.-ს. პროექტში აგრეთვე განხილულია მშპ-ს ზრდის პროგნოზის მიხედვით ორი დამატებითი სცენარი, რაც აჩვენებს, რომ მშპ-ს პროგნოზის 10%-იანი გადახრა გამოიწვევს 2030 წლის მოხმარების 0.7 ტვტ.სთ.-ით ცვლილებას საბაზისო სცენართან შედარებით.

2018 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია მოსალოდნელი. ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის მიხედვით (ხელმოწერის თარიღი 1.10.2016), საქართველოს აქვს ვალდებულება წლის ბოლომდე შესაბამისობაში მოიყვანოს ადგილობრივი კანონმდებლობა შვიდ სხვადასხვა ევროპული დირექტივასთან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ დირექტივა (N2009/72/EC), რომლის პირველ საჯარო ვერსიას გვიან გაზაფხულზე ველოდებით. 2018 წელს შესასრულებელი სხვა დირექტივებია: N2009/28/EC-განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ; N2012/27/EU- ენერგოეფექტურობის შესახებ; რეგულაცია N714/2009- ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ; N2001/80/EC წვის დიდი ქარხნებისგან ზოგიერთი დამაბინძურებლის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შეზღუდვის შესახებ; N2010/75/EU- სამრეწველო ემისიების შესახებ; N2010/30/EU- ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით, ენერგომომხმარების პროდუქტების მიერ ენერჯისა და სხვა წყაროების მოხმარების ინდიკატორების შესახებ. ამასთან, საქართველოსთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საგრანტო რესურსი და პროგრამები, რომელთა მიზანია არის დაეხმაროს საქართველოს აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის ქართულ კანონმდებლობაში ინტეგრირების პროცესში და ენერგეტიკული გაერთიანების მიერ დასახული მიზნების მიღწევაში.

განახლებადი ენერჯის შესახებ საქართველოს კანონის მიღება 2018 წლის აგვისტოში იგეგმება. სამუშაო ვერსია მზადდება ნორვეგიის წყლის რესურსების და ენერგეტიკის დირექტორატისა და დანიური კონსორციუმის „NVE-NIRAS“-ის მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს დახმარებას N2009/28/EC დირექტივის მოთხოვნების შესრულებაში. დირექტივის მიხედვით ენერგეტიკული გაერთიანების ხელმძღვრელი მხარეები ვალდებული არიან დააწესონ და შესაბამისად შეასრულონ ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები 2020 წლისთვის. სამიზნე მაჩვენებლები გამოიხატება პროცენტულ მაჩვენებლებში და ასახავს განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილს სხვადასხვა სექტორში გამოყენებულ მთლიან ენერჯო რესურსში. დირექტივა ეხება ელექტროენერჯის, ტრანსპორტის, გათბობასა და გაგრილების სექტორებს. კანონმა უნდა განსაზღვროს განახლებადი წყაროების ენერჯის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები, ამოცანები და ზოგადი პრინციპები, აგრეთვე, წახალისოს განახლებადი ენერჯის წყაროების მხარდაჭერის სქემები. ამასთან, კანონქვემდებარე აქტები დაარეგულირებენ შემდეგ საკითხებს: განახლებადი ენერჯის წყაროების ვაჭრობის დეტალური სქემები; განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაციის დეტალური მიდგომები და პროცედურები; ტრანსპორტის სექტორში ბიო საწვავის სავალდებულო კვოტების დაცვის განხორციელების დეტალური სქემები და კონტროლის მექანიზმები და სხვა. Niras-ი მიმდინარე დავალება ასევე მოიცავს კანონქვემდებარე აქტების მომზადების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მხარდაჭერას. აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება ნორვეგიის სამეფოს მიერ გამოყოფილი 4 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის გრანტიდან. აღნიშნული გრანტით ასევე ფინანსდება ტრენინგები საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და სახელმწიფო კომპანიების იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც უშუალოდ განახლებადი ენერჯის წყაროებზე მუშაობენ.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) სამწლიანი, 7.5 მილიონ დოლარიანი ტექნიკური დახმარების პროექტი დაიწყო. USAID-ის ენერგეტიკის პროგრამა (UEP) მიზნად ისახავს საქართველოს დახმარებას ენერგეტიკული ბაზრის და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის განვითარებაში ქვეყნის ინსტიტუციონალური გაძლიერებისა და ბაზრის მონაწილეების ცნობადობის ამაღლების გზით. პროგრამა აქცენტს აკეთებს განახლებადი ენერჯის რესურსებისთვის (ჰიდროს გარდა) ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, ინვესტიციების ხელშეწყობი გეგმების შემუშავებაზე, ქსელთან ინტეგრირების პრობლემური საკითხების მოგვარებაზე. პროექტის კიდევ ერთი მიმართულებაა საქართველოს




მთავრობისთვის კონსულტაციების გაწევა ენერჯეტიკის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და კომპლექსური ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის ოპერირების საკითხებში, ადგილობრივ და რეგიონალურ კვლევებზე დაყრდნობით. აღნიშნული საკითხები საქართველოს ენერჯეტიკული გაერთიანებით აღებული ვალდებულებების შესრულებაში უწყობს ხელს.


ელექტროენერჯის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი - იანვარი 2018

ელექტროენერჯის შიდა მოხმარება იანვარში წლიურად 7.6%-ით გაიზარდა და 1.2ტვტ.სთ. შეადგინა, რაც დაგეგმილზე 2.3%-ით ნაკლებია. ზრდა გამოწვეული იყო სადისტრიბუციო კომპანიების მოხმარების წლიური 11.9%-იანი ზრდით. ენერგო-პროს მოხმარება, ყოფილი კახეთის ენერგოდისტრიბუციის ჩათვლით, გაიზარდა წლიურად 17.2%-ით, წინა წლის შედარებით დაბალი ბაზიდან (2.7% წ/წ); ხოლო თელასის აბონენტთა მოხმარება წლიურად 3.6%-ით გაიზარდა, გასული წლის მაღალი ბაზიდან (+10.5% წ/წ). კვალიფიციური საწარმოების მოხმარება 2018 წლის იანვარში მცირედით გაიზარდა (+0,9% წ/წ), ხოლო აფხაზეთის რეგიონის მოხმარება შემცირდა (-1.9% წ/წ). ელექტროენერჯის ექსპორტი და ტრანზიტი 2018 წლის იანვარში არ განხორციელებულა.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის მოხმარება და ექსპორტი, გვტ.სთ.



გრაფიკი 6: განაწილების ლიცენზიანტების მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო


წყარო: ესკო

შენიშვნა: კახეთის ენერგოდისტრიბუცია იყიდა ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის აგვისტოში

ადგილობრივი გენერაცია იანვარში წლიურად 6.1%-ით გაიზარდა და 1.0ტვტ.სთ. შეადგინა, რაც მცირედი 2.2%-ით აღემატებოდა დაგეგმილ დონეს. ჰიდროგენერაცია მნიშვნელოვნად (+19.9% წ/წ) გაიზარდა 2017 წლის იანვრის დაბალი ბაზიდან (-10.4%წ/წ). ენგურ-ვარდნილის გენერაცია წლიურად მცირედი 2.7%-ით შემცირდა, ხოლო სხვა მარეგულირებადი სადგურების და დერეგულირებადი ჰესების გენერაცია, შესაბამისად, 43.9% და 34.4%-ითაა გაზრდილი. თბოგენერაცია 14.0%-ით ნაკლები იყო წინა წლის იანვრის მაჩვენებელზე, და 18.3%-ით ნაკლები დაგეგმილზე. ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობა 9.6%-ით აღემატებოდა წინა წლის იანვრის მონაცემს და 7.1 გვტ.სთ. შეადგინა, რამაც ჯამური მიწოდების 0.6% შეადგინა. ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 12.9%-ით გაიზარდა და იანვარში ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის 16.6% (202.1 გვტ.სთ.) შეადგინა. ცნობისათვის, ელექტროენერჯის იმპორტის მოცულობა 22.5%-ით ნაკლები იყო დაგეგმილ დონეზე. იმპორტის 92.2% განხორციელდა აზერბაიჯანიდან, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან (4.0%) და სომხეთიდან (3.7%). გარანტირებული სიმძლავრის საფასური წლიურად 6.4%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 0.7 აშშ ცენტი შეადგინა. ზრდა განპირობებულია 2018 წლის იანვრიდან მოქმედი გარანტირებული სიმძლავრის საფასურის განახლებული ტარიფებით. მტკვარი ენერჯია (მე-9 ბლოკი) და გარდაბნის თბოსადგური მუშაობდნენ სრული სიმძლავრით თითქმის მთელი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი სამი თბოსადგური სისტემისთვის რეზერვის წყაროს წარმოადგენდნენ.




გრაფიკი 7: ელექტროენერჯის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ.სთ.



წყარო: ესკო

გრაფიკი 8: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ.სთ.




წყარო: ესკო

ელექტროენერჯის ფასები საქართველოში და თურქეთში


იმპორტის საშუალო ფასი იანვარში წლიურად 3.2%-ით გაიზარდა და კვტ.სთ.-ზე 5.1 აშშ ცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ელექტროენერჯის საბალანსო ფასის 2018 წლის იანვარში მცირედით შემცირდა (-1.1%წ/წ) და კვტ.სთ.-ზე 5.0 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ბაზარზე ივჭრებოდა ჯამური მიწოდებული ელექტროენერჯის 19.7%, ხოლო დანარჩენი ვაჭრობა ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. თურქეთში 2018 წლის იანვარში საშუალო საბაზრო ფასი წლიურად 2.4%-ით შემცირდა და კვტ.სთ.-ზე 4.9 აშშ ცენტი შეადგინა.

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



*იანვარში ექსპორტი თურქეთის მიმართულებით არ განხორციელებულა.
წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 10: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ.სთ.-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი
შენიშვნა: იანვარი არ წარმოადგენს ექსპორტის თვეს.



ცხრილი 1: ელექტროენერჯის ბალანსი (გვტ.სთ)

	2016	თებ-17	მარ-17	აპრ-17	მაის-17	ივნ-17	ივლ-17	აგვ-17	სექ-17	ოქტ-17	ნოემ-17	დეკ-17	2017	იან-18
შიდა მოხმარება	11,007	1,012	1,019	933	856	870	985	1,037	918	947	1,032	1,163	11,856	1,168
წლიური ზრდა	7.7%	13%	8%	8%	1%	3%	10%	14%	16%	7%	7%	0%	7.7%	8%
აფხაზეთის რეგიონი	1,927	234	205	171	132	102	113	119	101	136	194	241	2,002	247
წლიური ზრდა	3.9%	20%	7%	14%	8%	1%	3%	2%	-8%	-4%	-1%	-5%	3.9%	-2%
კვალიფიციური საწარმოები	1,209	113	129	128	95	131	136	138	122	121	107	102	1,427	108
წლიური ზრდა	18.1%	25%	12%	5%	-27%	6%	21%	66%	91%	62%	32%	-17%	18.1%	1%
სადისტრიბუციო კომპანიები	7,872	666	685	634	629	637	736	780	695	690	732	819	8,427	812
წლიური ზრდა	7.1%	9%	8%	7%	6%	3%	9%	10%	13%	4%	6%	4%	7.1%	12%
ენერგო-პროდუქცია	4,740	381	410	390	393	399	463	484	456	457	481	528	5,254	521
წლიური ზრდა	11%	10%	9%	6%	6%	4%	11%	12%	22%	13%	18%	8%	8.1%	17%
თელასი	2,789	256	246	216	209	211	240	261	239	233	251	292	2,935	291
წლიური ზრდა	5%	8%	8%	9%	7%	0%	5%	9%	12%	1%	-1%	-2%	5.2%	4%
კახეთის ენერგო დისტრიბუცია	343	28	29	27	27	28	33	35	-	-	-	-	239	-
წლიური ზრდა	-30%	5%	7%	8%	6%	6%	14%	9%	-100%	-	-	-	-	-
ადგილობრივი გენერაცია	11,574	809	741	817	1,093	1,138	1,247	1,035	821	828	968	1,080	11,531	1,014
წლიური ზრდა	0%	0%	-12%	-7%	2%	4%	18%	8%	3%	-9%	-3%	-9%	-0.4%	6%
ჰიდროსადგურები	9,329	362	544	722	1,085	1,128	1,234	944	706	583	658	682	9,211	676
წლიური ზრდა	-1%	-33%	-22%	-1%	1%	3%	16%	6%	10%	-11%	2%	0%	-1.3%	20%
თბოსადგურები	2,235	442	188	86	0	1	5	83	107	239	304	393	2,233	331
წლიური ზრდა	0%	62%	26%	-40%	N/A	-76%	321%	31%	-32%	-6%	-14%	-21%	-0.1%	-14%
ქარის სადგურები	9	6	9	9	8	9	7	8	7	7	5	6	88	7
წლიური ზრდა	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	178%	-19%	872.2%	10%
იმპორტი	479	250	311	147	2	0	1	73	133	157	110	135	1,497	202
წლიური ზრდა	213%	106%	134%	493%	-41%	-100%	-78%	597%	449%	832%	766%	302%	212.6%	13%
ექსპორტი	559	0	0	0	200	230	222	32	0	0	1	0	686	-
წლიური ზრდა	23%	N/A	N/A	N/A	5%	9%	71%	16%	N/A	N/A	N/A	N/A	22.7%	N/A
წმინდა ექსპორტი	80	(250)	(311)	(146)	199	230	221	(41)	(133)	(157)	(109)	(135)	(811)	(202)
ტრანზიტი	850	16	4	5	4	-	-	93	32	15	23	53	254	-
წლიური ზრდა	N/A	-49%	-84%	-90%	N/A	N/A	N/A	-33%	-69%	-89%	-83%	-61%	-70%	N/A

წყარო: ესკო



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს ბიჯუო ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უზღუდვამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უზომოდობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორისა და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტიციებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოყენებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ბაჩანა შენგელია | bshengelia@gt.ge

ანალიტიკოსი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

ეკონომისტი
ლამა ქავთარაძე | lashakvataradze@gt.ge

ანალიტიკოსი
იოსებ ქუმსიშვილი | ikumsishvili@gt.ge